პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

2 დეკემბერი სამშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 280 (14580)

ფიქრები დაგეგმვაზე

ნათელი პერსპექტივა

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში შეეკრა, როგორც კოლმეურნე გლეხობის ცხოვრების ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტი. ყრილობამ ცხადყო ლენინური კოოპერაციული გეგმის გამარჯვება, ახალი ნათელი პერსპექტივები დასახა სოფლის მშრომელთა წინაშე.

კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენელთა ფორუმის მუშაობას უურადღებით ადევნებდა ოვალს ჩვენი სოფელი. კოლმეურნენი უდიდესი ინტერესით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დ. ს. პოლიანსკის მოხსენებას.

მე და ჩემი ამხანაგები განსაკუთრებით აგვაღელვა ყრილობაზე მიწის შესახებ დიდმა სჯებაულმა. ეს საკვანძო გასაგებია. მიწა ჩვენი ეროვნული სიმდიდრეა. იგი გვარჩენს, გვიქმნის ცხოვრების ყველა პირობას. და ჩვენ უნდა ავამაღლოთ მისი ნაყოფიერება, გავუფრთხილდეთ მას, მზრუნველად მოვუაროთ, მოვიყოლოთ უხვი მოსავალი.

ჩვენი კოლმეურნეობა რესპუბლიკაში ერთ-ერთი მდიდარი მეურნეობაა. სოფელს ამშვენებს კულტურის ხასახლე, რამდენიმე კლუბი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა შენობები. გაზიფიცირებულია კოლმეურნეთა ლამაზი ორსართულიანი სახლები. სოფლის მშრომელებს აქვთ ტელევიზორები, ტელეფონი. ნატანებლები ამაყობენ, რომ მათი კოლმეურნეობა რესპუბლიკაში ყველაზე მეტ ჩაის, ციტრუსსა და ტუნგოს ამზადებს. მაგრამ ეს მიღწეა როდია.

ჩვენ, სუბტროპიკული კოლხეთის მცხოვრებლები, ერთსულოვნად ვუჭერთ ძმარს ყრილობაზე წამოყენებულ საკითხს: უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი და მყარი ტემპი და ამის მეოხებით ავამაღლოთ მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონე. ჩვენი კოლმეურნეობის წევრებმა გადაწყვიტეს მომავალ წელს ამდენი ბარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრეფონ, რომ იგი ხაკმარისი იყოს ამ პუნქტზე საქართველოს მოსახლეობის წლიური მოთხოვნის უზრუნველსაყოფად.

საკოლმეურნეო ცხოვრების წესდება ძალაში შევიდა. იგი ჩვენს წინაშე ნათელ მიზნებს სახავს, სანიმუშო წესდების საფუძველზე კიდევ უფრო უნდა განვავითაროთ კოლმეურნეობის ეკონომიკა, ავამაღლოთ სოფლის კულტურა, გავაუმჯობესოთ პლანტაციების, ბაღების, ფერმების მშრომელთა ცხოვრება და ყოფა.

დ. ბაქანიძე.

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

□

გავაჩაღოთ შეჯიბრება!

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობამ, რომლის დელეგატი მეც ვიყავი, ერთსულად მიიღო ისტორიული დოკუმენტი — კოლმეურნეობის სანიმუშო წესდება. ეს უდიდესი მოვლენაა მთელი ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

ყრილობამ ცხადყო, რომ ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა მჭიდროდ შეკავშირებულია ლენინური კომუნისტური პარტიის გარშემო, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი წარმატებით შეასრულოს პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი.

რით მივედით ყრილობაზე? ჩვენმა კოლმეურნეობამ, რაიონის მხვნელ-მთესველებმა ყველა ვალდებულებანი პირნათლად შეავსრულეთ, სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები გადაჭარბებით შეასრულეთ.

თუმცა რაჭის მთიან სოფლებში ზამთარმა დაასადგურა, მაგრამ შემოქმედებითი შრომა წუთითაც არ შეწყვეტილა. კოლმეურნეები, მექანიზატორები ხუთწლედის ბოლო წლის გაზაფხულისათვის წარმატებით ემზადებიან. მინდვრად გაჩქარეთ ნაკელი, ასუფთავებენ ვენახებს, ყველაფერს აკეთებენ პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის.

ბრიგადებსა და რგოლებში მხვნელ-მთესველები უანობიან და დრმად სწავლობენ კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებას.

ახალი ძალით გავაჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება, რათა ღირსეულად ავღნიშნოთ დიდი ისტორიული თარიღი — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი.

კაზა ბეწაძე,

ამბროლაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. კოლმეურნეთა მესამე საკავშირო ყრილობის დელეგატი.

გაორკეცებული ენერგიით

ადამიანის ცხოვრებაში არის დღეები, რომლებიც დაუვიწყარი მთელ სიცოცხლეში, ასეთია ჩემთვის კოლმეურნეთა მესამე საკავშირო ყრილობის მუშაობის დღეები, როცა უდიდესი ინტერესით ვუსმენდი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის** სიტყვას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **დ. ს. პოლიანსკის** მოხსენებას და დელეგატთა მიერ წარმოთქმულ სიტყვებს.

სოფელში ამის ფრმა რწმენით დაებრუნდი, რომ კოლმეურნეობის სანიმუშო წესდება ყოველმხრივ დაგვეხმარება. საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობაში, როცა ყრილობის შედეგებზე ვსაუბრობდით, ჩვენი ბრიგადის წევრებმა ალექსანდრა ცანავამ, ოლგა გეორგიევამ, ზინა და გულნარა ქუთათელაძეებმა გადაწყვიტეს ამიერიდან გაორკეცებულ ენერგიით ამუშაონ და ბრიგადამ წლევანდელი 40 ტონის ნაცვლად მომავალ წელს 50 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფონ.

პრაქტიკულად მე გადაწყვეტილი მაქვს არ დავკერდე. მიდწეულს და წელს მოკრეფილი 12 ტონის ნაცვლად მომავალ საიუბილეო წელს სამშობლოს მივცე 13 ტონა ჩაის ფოთოლი, ამასთან ჩემი მუშაობის მეთოდები შევასწავლო ბრიგადის 10 მეჩაიეს და ამით ღირსეულად აღვნიშნო **ვ. ი. ლენინის** დაბადების 100 წლისთავი.

ნორა ქუთათელაძე,

წყალტუბოს რაიონის სოფელ წყალტუბოს კაკავიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, კოლმეურნეთა მესამე საკავშირო ყრილობის დელეგატი.

ეს ბოგონა კოლმეურნეობის მწველავი ლალი ლოსურაშვილია. მის მშვენიერ სოფელს — მოეხის და ფშავის არაგვის მესაიდუმლეს მაღალოსკარი ჰქვია. აქ აიდგა ფეხი ახალგაზრდა მწველავმა და სულ მალე ჯერ დუშეთის რაიონში, ხოლო შემდეგ მთელ საქართველოში გაიოქვა სახელი. მადლიერმა კოლმეურნეებმა იგი კოლმეურნეთა სრულიად-საკავშირო ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

მოსკოვიდან შრომისმოყვარე გოგონა ახალი ენერგიით, ახალი მიზნებითა და ამოცანებით დაუბრუნდა საყვარელ საქმეს.

ფოტო ს. კილაძისა.

საკოლმეურნეო ცხოვრების კანონი

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობამ წარმატებით დაამთავრა მუშაობა. იგი დიდი პოლიტიკური მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ყრილობის მუშაობის დღეებში კრემლისადმი მიპყრობილი იყო არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა უურადღება.

ყრილობის გადაწყვეტილებებმა, ამ ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ამხ. დ. ს. პოლიანსკის მოხსენებამ და ყრილობის დელეგატთა გამოსვლებმა ცხადყვეს, რომ კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობამ იმსჯელა იმ ძირითად საკითხებზე, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ XXIII ყრილობისა და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებიდან. კოლმეურნეთა ეს დიდი ფორუმი საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში კიდევ ერთი წინგადადგმული მძლავრი ნაბიჯია.

ყრილობამ ცხადყო ლენინის კოოპერაციული გეგმის გამარჯვება და მომავლის ახალი ნათელი პერსპექტივები დაუსახა სოფლის მშრომელებს.

პრესაში გამოქვეყნდა კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდება, რომელიც ერთსულოვნად მიიღო კოლმეურნეთა ყრილობამ და დამტკიცეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ. ახალი წესდება ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის თანმიმდევრულ გაკვითარებას, მის ღრმა ხალხურ ხასიათსა და უცილობელ უპირატესობებს მოწმობს. კოლმეურნეობის სანიმუშო წესდება შეიმუშავა და მომზადა კომისიამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით.

წესდების პროექტის განხილვაში მონაწილეობდა მილიონობით ადამიანი — კოლმეურნეები, მუშები, სპეციალისტები, მეცნიერები. ახალი წესდების მიღებითა და დამტკიცებით საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში გადაიშალა ჩვენი ქვეყნის წინსვლის კიდევ ერთი ნათელი ფურცელი. ეს წესდება არის საკოლმეურნეო ცხოვრების ნამდვილი კანონი. „კოლმეურნეთა III ყრილობის მუშაობა და გადაწყვეტილებანი ხელს შეუწყობენ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცების საქმეს, მთელი ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის აღმავლობას“, — თქვა თავის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ყრილობა დამთავრდა, მიზნები და ამოცანები ცნობილია. ახლა სოფლის ყველა მშრომელის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების, სპეციალისტების, სამეცნიერო დაწესებულებების გადუდებელი საქმეა გაიჩაღონ ბრძოლა ყრილობის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის. პირველი სიტყვა კი მაინც სოფლის მშრომელებს ეკუთვნით. მათ თავიანთი ერთგული მოკავშირის — მუშათა კლასის ხელშეწყობით, მძლავრი სამამულო ტექნიკის მაღალნაყოფიერად გამოყენებით ახალ-ახალ გამარჯვებებს უნდა მიაღწიონ.

ახალი წესდება მაღალ მოთხოვნებს უყენებს საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს, კოლმეურნეებს. სწორედ ისინი არიან მოვალენი თვალსაჩინოებით გაუფრთხილდნენ მიწას, ყოველი ღონისძიებით იბრძოლონ მისი მაღალი ნაყოფიერებისათვის, ასეულ მილიონობით ჰექტარი მიწა სამუდამო სარგებლობაში აქვთ გადაცემული კოლმეურნეობებს, მიწის უზარმაზარ მასივებს ფლობენ აგრეთვე საბჭოთა მეურნეობები. ყველა კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობის მუშა, სპეციალისტი მიწას — ჩვენს მარჩენალს უნდა ეკიდებოდეს ისე, როგორც ერთგული მზრუნველი პატრონი, იბრძოდეს მოსავლიანობის გადიდებისათვის.

კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების ძირითადი დებულებანი აფართოებენ კოლმეურნეობათა სამეურნეო დამოუკიდებლობასა და ინიციატივას, ქმნიან სარბიელს შემოქმედებითი შრომისათვის. კოლმეურნეობებს ფართო უფლებები ენიჭებათ დაეგეგმვაში, შრომის ორგანიზაციასა და ანაზღაურებაში, სამეურნეო ანგარიშის დანერგვაში, საპენსიო, სადაზღვევო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდების ზრდაში, ფულადი სახსრების უფრო ეფექტიანად გამოყენებაში. ახალი წესდების ნიშანდობლივი თვისება ის არის, რომ იგი ხელს შეუწყობს საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას, საზოგადოებრივი მეურნეობის მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას. ამასთან ერთად იზრდება. თვით კოლმეურნეთა პასუხისმგებლობა თავიანთი კოლექტიური შრომისათვის.

სოფლის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის კოლექტიური განხილვის მიზნით ყრილობამ მიზანშეწონილად ცნო შეიქმნას კოლმეურნეობათა თავიდან ბოლომდე არჩევითი საბჭოები, რომლებშიც შევლენ მეურნეობათა გამოცდილი ხელმძღვანელები, მოწინავენი, სპეციალისტები. ახლანან დამთავრებულ ყრილობაზე აირჩიეს კოლმეურნეთა საკავშირო საბჭო.

ყრილობის მუშაობის დღეები დაემთხვა სოფლად სამეურნეო წლის სანიმუშოდ დამთავრებისათვის ბრძოლას. მეფენსახეებმა, მეჩაიეებმა, მემინდვრეებმა სასახელოდ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი. ამასთან, ჩვენი სოფლის მშრომელები კვლავ დიდი ამოცანების წინაშე დგანან. იმიდია ასევე სასახელოდ შეასრულებენ ვალდებულებას ჩვენი მეცხოველეები, მეხილეები, მეციტრუსეები, მეჭარხლეები. კალენდარული ზამთარი გუშინ დაიწყო. მეცხოველეთა საზრუნავი ახლა ის არის, რომ წარმატებით გამოზამთრონ პირუტყვი. მეფენსახეებმა, მეჩაიეებმა, მემინდვრეებმა კი იმისათვის უნდა იბრძოლონ, რომ მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის — ხუთწლედის უკანასკნელი წლის უხვ მოსავალს.

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის მასალებისა და გადაწყვეტილებების, ახალი წესდების განმარტებისა და შესწავლისათვის უნდა დაირაზმონ სოფლის კომუნისტები, პროპაგანდისტები, პოლიტინფორმაციორები. მათ პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიკომების ხელმძღვანელობით კოლმეურნეობის ახალი წესდების განხორციელებისათვის ბრძოლაში უნდა ჩაებან სოფლის ყველა მშრომელნი, რომ აღმავლობის გზით წავიდეს საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრება, აყვავდეს საბჭოთა სოფელი, უფრო მეტი რაოდენობით მივცეთ ჩვენს ქვეყანას სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

„კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა აღუთქვამს პარტიასა და მთავრობას, რომ საბჭოთა გლეხობა მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის მხარდამხარ კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდება პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის პარშემო და ლენინის დიადი დროშით ივლის ფინ, ახალი გაბარჯვებისაკენ კომუნიზმის მშენებლობაში“, ნათქვამია კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატების წერილში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. დელეგატთა ამ წერილში მიცემული სიტყვის შესრულებისათვის ბრძოლა სოფლის მშრომელთა საპატიო და საამაყო საქმეა.

საქართველოს სოფლის მშრომელებო! კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდება ძალაში შევიდა. ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ახალი წესდების — საკოლმეურნეო ცხოვრების კანონის განუხრელად შესრულებისათვის, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის!

კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების შესახებ

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ „გამოუშვა ბროშურა „კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების შესახებ“. ბროშურა შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **დ. ს. პოლიანსკის** მიერ კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობაზე გაკეთებული მოხსენების ტექსტს.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

დიდი ლენინის ანდერძით



ამიერკავკასიის ჟურნალისტთა შემოქმედებითი შეხვედრა

ერევანი, ნოემბერი. (სომხდესი). აქ მოეწყო ამიერკავკასიის ჟურნალისტთა შემოქმედებითი შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მიერ მოწყობილ შეხვედრაში მონაწილეობენ მოძმე რესპუბლიკათა რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები, ბეჭდვითი სიტყვის, რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტების, დეპეშათა საagენტოების ხელმძღვანელები.

გახსნა რა ამიერკავკასიის ჟურნალისტთა ტრადიციული შეხვედრა, სომხეთის ჟურნალისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით გულითადად მიესალმა შეხვედრის მონაწილეებს და ახალი შემოქმედებითი წარმატებები უსურვა.

შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღებით მოისმინეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრის **ა. ნ. მნაცაკანიანის** მოხსენება — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესის ლენინური ტრადიციები“.

სომხეთის ბეჭდვითი სიტყვის ბის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ხალხთა ეროვნული მეგობრობის „გაძარჯვებისა, რომლებიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხების ურღვევ ოჯახში ამყნებენ ახალ ცხოვრებას.

ჩვენი ჟურნალისტების დღეგანდელი შეხვედრა ეძღვნება ჩვენი ბოლშევიკური პრესის დამაარსებლის, ჩვენი პრესის ბოლშევიკური ტრადიციების ფუძემდებელს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის თარიღს, რომელიც ყველა ჩვენგანისათვის წმიდათა წმიდაა.

ამხ. რ. გ. ხაჩატრიანი სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გულითადად მიესალმა შეხვედრის მონაწილეებს და ახალი შემოქმედებითი წარმატებები უსურვა.

„ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესის ლენინური ტრადიციები“ — ასეთია ამ ანგარიშის ძირითადი ლეიტმოტივი. ავტორმა ბრწყინვალე ანალიზი გაუკეთა ბოლშევიკური ეროვნული პოლიტიკის ლენინურ ეროვნულ-ეროვნული ბოლშევიკური ეროვნული ეროვნული ეროვნული

დიდი ლენინის ანდერძით

(დასასრული)

წამყვანი ადგილი უკავია ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. იუბილესთვის მზადების საკითხების განხილვა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში სომეხი ხალხის მიღწევათა ჩვენება, უმდიდრესი ლენინური იდეური ნემკვიდრეობის პროპაგანდა წარმოებს წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული გეგმით.

მარტო მიმდინარე წელს გაზეთმა გამოაქვეყნა მთელი რიგი მოწინავე სტატიები, რომელთა თემები უშუალოდ დაკავშირებულია ლენინის იუბილესთან. ეს სტატიებში აღძრული და განმარტებულია ლენინური იდეების პროპაგანდის ამოცანები, განზოგადებულია პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკული საქმიანობა დირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი შეჯიბრების ხელმძღვანელობაში, გაშუქებულია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ახალი, ქმედითი ფორმები.

აზერბაიჯანის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის მდივანმა ჯ. შიხზამანოვმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების რადიოსა და ტელევიზიის ჟურნალისტთა შემოქმედებითს კავშირურთიერთობას. მან, კერძოდ, აღნიშნა ტრადიციად ქცეული რადიოგადაცემები სომხეთიდან. საქართველოდან და აზერბაიჯანიდან, უკვე 10 თვეა, თქვა მან, რაც ყოველ კვირაში შაბათობით ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთერში ერთსა და იმავე დროს ყრერს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალი ამბების ბიულეტენი. 4 ნოემბერს ჩვენი სამი რესპუბლიკის რადიომ მოაწყო ერთობლივი რადიოდღე, რომელიც დიდი ლენინის უკვდავი იდეების განხორციელებას მიეძღვნა.

გაზეთი „ვეჩერნი ტბილისი", — თქვა მისმა რედაქტორმა **ა. ვ. ასლანიდიმ**, — კვლავ ფართოდ აშუქებს ჩვენი ქვეყნის ხალხთა შეგობრობის ლენინურ ტრადიციებს. ლენინური თემა ჩვენი გაზეთის მთავარი თემაა. დაწყებული 1967 წლიდან, როცა ჩვენი ქვეყანა ემზადებოდა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად, ლენინური თემა გაზეთის ყოველ ნომერშია. შექმნილია ახალი რუბრიკები. ადგილობრივი პარტიული კომიტეტების დახმარებით ლენინგრადსა და ულიანოვსკში მოწყობილია „ვეჩერნი ტბილისის" მეოდანი საკორესპონდენტო პუნქტები. მათი დახმარებით რეგულარულად ვაშუქებთ ლენინის იუბილესთვის მზადების მიმდინარეობას ბელადის სამშობლოში და ნევის ქალაქში — რევოლუციის აკვანში.

ლენინურმა თემამ ცხოველი, ახალი ხაკადი შეიტანა გაზეთის ცხოვრებასა და საქმიანობაში, გააქტიურა ჟურნალისტთა, რედაქციის ავტორთა აქტივის შემოქმედებითი ინიციატივა.

ლენინური თემის გაშუქებაში ფართოდ და შემოქმედებითად ვიყენებთ სხვადასხვა საგაზეთო ჟანრს. გაზეთებისათვის სტატიებს წერენ მეცნიერი მუშაკები, ისტორიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები — აეტორთა დიდი აქტივი. ლენინის იუბილესთვის მზადება, ლენინური თემის გაშუქება სეიროზული გამოცდაა რედაქციების შემოქმედებითი კოლექტივებისათვის, თვითეული საბჭოთა ჟურნალისტისათვის. ეს არის პოლიტიკური სიმწიფის, მაღალი ჟურნალისტური ოსტატობის გამოცდა. და ჩვენი პარტიული, ჩვენი პატრიოტული მოვალეობაა ღირსეულად ჩავაბაროთ ეს გამოცდა.

—გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი", — თქვა გაზეთის რედაქტორმა **მ. ა. ოსულოვმა**, ყოველ ნომერში ბეჭდავს მასალებს, რომლებიც ამუქებენ, თუ როგორ ემზადებიან მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხები ერთად საბჭოთა აზერბაიჯანის მშრომელები ღირსეულად აღნიშნონ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი.

რედაქციის უახლოესი გეგმებია განაგრძოს მასალების ბეჭდვა აზერბაიჯანელი ხალხის თავდადებულ შემოქმედებით შრომაზე, რომელიც ესწრაფვის, რომ ბელადის იუბილე ახალი მაღალი მიღწევებით აღნიშნოს. მალე დაიბეჭდება მთელი რიგი სტატიები რუბრიკით „ლენინური სტრიქონებიდ" — პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თემაზე, იმაზე, თუ როგორ წარმართავდა ვ. ი. ლენინი ქვეყნის ნაკეთობის მოეწყობილობის განვითარებას, როგორ მიმდინარეობს სოციალისტური მშენებლობა აზერბაიჯანში და სხვ. გაზეთი ასახავს აგრეთვე იმ ადამიანთა ცხოვრებასა და საქმიანობას, რომლებსაც მიმოწერა ჰქონდათ ლენინთან და რომლებსაც ილიჩი ეხმაურებოდა. ფართოდ გამოქვეყნდება ჩვენი მკითხველების მასალები რუბრიკით „გულით ვატყობთ ლენინს სახეს".

სომხეთის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **მ. მ. დავთიანმა** თქვა, რომ რესპუბლიკის რადიოსა და ტელევიზიის ლენინიანა იმ უდიდესი მუშაობის ლოგიკური გაგრძელებაა, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს გასაზეიმებლად განხორციელდა.

იყენებენ რა სხვადასხვა ჟანრს, ჟურნალისტები ცოცხლად და ხატოვნად უყვებიან რადიომსმენელებსა და ტელემაყურებლებს, თუ როგორ აყვავდა ჩვენი ქვეყანა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, როგორ აშენა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, ილიჩის იდეებით შთაგონებულმა სომეხმა ხალხმა თავისი რესპუბლიკა, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული ინდუსტრია, მსუქანი მექანოვნებული სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა.

წლის დამდეგიდან ეთერში გამოდის სპეციალური საინფორმაციო გადაცემა — „ამიერკავკასიის რესპუბლიკები — ლენინის იუბილეს". ამ ბოლო დროს ჩვენ სტუდრება იყენებ უკრაინის, უზბეკეთის, ესტონეთის, ლიტვის, ბელორუსიის რადიო. უახლოეს

რატომ დუმდნენ კომუნისტები?

სანამ საანგარიშო-საარჩევნო კრება შედგებოდა, ბოლნისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საქმიანობა სათანადო ორგანოებმა შეისწავლეს. საფინანსო დარღვევათა უხეში ფაქტები და ნაკლოვანებები გამოამჟღავნეს.

რაში მდგომარეობს ეს დარღვევები და ნაკლოვანებები?

სამმართველოს ხელმძღვანელობის მხრივ უკონტროლობისა და გულგრილობის მიზეზით სამშენებლო ობიექტებზე ხელოვნურად გადიდებულია გაწეული ხარჯები. არის გადახარჯვები, მშენებლობა ჭიანურდება. მშენებლობებზე, რომლებსაც სამმართველო აწარმოებდა, ზედმეტად გასცეს 28.736 მანეთი.

არის ფაქტები, რომ კომბინატში მომუშავე ბორტმოქმედნი ერთი და იმავე სამუშაოს შესრულებაზე ორჯერ ადგენდნენ ფორმა № 2-ს და ითვისებდნენ სახელმწიფო თანხებს.

როგორც შემოწმებით დადასტურდა, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმის შესრულებაში ზედმეტად უჩვენეს 95.800 მანეთი. აქედან 13.000 მანეთი წმინდა „მიწერა" იყო. სამმართველოში სახელმწიფო ბანკის გვერდის ავლით დახარჯეს 6.719 მანეთი.

გამოვლინდა სხვა ხახის დანაშაულობებიც. აქ იზრდება დებიტორული დავალიანება. თუ, მაგალითად, მიმდინარე წლის პირველი ივნისისათვის დებიტორული დავალიანება 5.400 მანეთს შეადგენდა, სამი თვის შემდეგ იგი 15.100 მანეთამდე გაიზარდა.

სამმართველოში შექმნილი მდგომარეობა განიხილა მშრომელთა დეპუტატების ბოლნისის რაიონული საბჭოს აღმასკომმა და თანამდებობიდან გაათავისუფლა სამმართველოს უფროსი ა. ნოვრუზოვი.

სწორედ ასეთ სიტუაციაში შეიკრიბნენ კომუნისტები თავიანთი პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. მოსალოდნელი იყო, რომ პარტიუროს მდივანი მ. მუსაევი საანგარიშო მოხსენებაში ანალიზს გაუკეთებდა შექმნილ მდგომარეობას, ამხილებდა ცალკეულ ადამიანებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ დარღვევებსა და ნაკლოვანებებს, ილაპარაკებდა იმის შესახებ, რომ შექმნილი მდგომარეობა პირველადი პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტთა სიფხიზლის მოდუნების შედეგია. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ პარტიუროს მდივანმა მუსაევმა განგებ აუარა გვერდი სამმართველოში შექმნილ მდგომარეობას და ერთი სიტყვაც არ თქვა ზემოთ მოყვანილ ფაქტებზე. კრებას ისიც კი არ მოხსენდა, რომ ი. ნოვრუზოვი განთავისუფლებულია სამუშაოდან, ხოლო კონკრეტული დამნაშავენი სამართალში არიან მიცემული.

საანგარიშო მოხსენებაში არც იმაზე თქმულა რამე, თუ კონკრეტულად რა საქმიანობას ეწეოდა პარტიული ორგანიზაცია, როგორი იყო კომუნისტთა ავანგარდული როლი, რას აკეთებს კოლექტივი სოციალისტური შეჯიბრებით. ნაკლებ ყალდებულებათა შესრულებისათვის და სხვ. კრების მონაწილეებმა ისიც ვერ შეიტყვეს, თუ რამდენჯერ შეიკრიბა წელს ბიუროს სხდომაზე ან რამდენი პარტიული კრება გაიმართა.

ცხადია, ყოველივე ამის შემდეგ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა ანალიზს გაუკეთებდა პარტიუროს მდივანი პარტორგანიზაციის კრებებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას, კომუნისტთა თეორიულ სწავლებას, პროფკავშირული, კომკავშირული და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების საქმიანობას.

მოსალოდნელი იყო, რომ იმას, რაც მომხსენებელს „გამორჩა", (მოხსენება მხოლოდ სამ გვერდზე იყო დაწერილი და პარტიუროს მდივანი მის წაკითხვას 10 წუთსაც არ მოუნდა) შეავსებდნენ სიტყვებით გამოსული კომუნისტები, გულისტკივილით აღნიშნავდნენ და სათანადო კვალიფიკაციას მისცემდნენ სამმართველოს საქმიანობაში არსებულ აღმაშფოთებელ ფაქტებს, გააკრიტიკებდნენ პარტიული ორგანიზაციისა და მისი ბიუროს მუშაობის ნაკლოვან მხარეებს. მაგრამ ეს მოლოდინიც არ გამართლდა. კამათში გამოსული კომუნისტები ლაპარაკობდნენ ზოგადად, ეხებოდნენ მეორეხარისხოვან საკითხებს. საილუსტრაციოდ მოიყვანეთ ზოგიერთ მაგალითს. „ოფონსტა" ი. ზამოიანცევა აღნიშნა, რომ ეროვნული ჯვრის ორგანიზაცია კარგად მუშაობდა. მხოლოდ ეს ერთი გვარ, რომ 62 მანეთი „ეროვნული ფონდიდან" გადარიცხეს, — ეს გაკვირვებია აფთიაქი...

გ. მალრაძემ (პარიკმახერთა ბრიგადირი) განაცხადა: საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო სისტემატურად აუმჯობესებდა მუშაობას. მისი მთავარი ნაკლი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ის არის, რომ არ გვამარაგებდა ოდეკოლონითა და თეთრეულით.

შ. ბაბაროვმა (მკერავი) აღნიშნა: პარტიული ორგანიზაცია კარგად მუშაობდა, ეხმარებოდა ადმინისტრაციას, გეგმების შესრულებაში. მისი საქმიანობა დამაკმაყოფილებელია...

არაარნციაული, გულწრფელობას მოკლებული იყო თვით სამმართველოს ყოფილი უფროსის ი. ნოვრუზოვის გამოსვლა.

— როცა მე ამ სამმართველოს ხელმძღვანელად გამომგზავნეს, — განაცხადა მან, — იგი ერთ-ერთ ჩამორჩენილი დაწესებულება იყო მთელ რაიონში. პარტორგანიზაციასთან მტკიცე კონტაქტში ორგანიზაცია გავუკეთე მთელი რიგი ობიექტებისა და საამქროების გახსნას და ყოველივე ამის შედეგად მივალწიე გეგმების 100 პროცენტით შესრულებას (?)...

ასე ხოტბა-დიდებით ჩაიარა პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ იმ საწარმოში, სადაც ადგილი აქვს სერიოზულ ჩავარდნებს, შეცდომებს, დამახინჯებას, არ სრულდება გეგმები, ჩაშლილია პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა.

და მაინც კომუნისტებმა პარტიუროს მიერ გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს, ხოლო მდივნად კვლავ მ. მუსაევი აირჩიეს (?)

ვფიქრობთ, ამ ორგანიზაციით უფრო მეტად დაინტერესდება პარტიის ბოლნისის რაიონული კომიტეტი.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

ილიჩის სახელისა და იდეების უკვდავება

მოგონებათა მეხუთე ტომი

გამოვიდა ვ. ი. ლენინის შესახებ მოგონებათა მეხუთე ტომი, რომელიც მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა. წიგნში შეტანილ 90 მემუარი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის შესახებ. მემუარები ეკუთვნით თვალსაჩინო საზღვარგარეთელ მოღვაწეებს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მონაწილეებს, აგრეთვე საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეებს, ლიტერატორებსა და ჟურნალისტებს.

მოგონებათა ავტორებს შორის არიან კ. ცეტკინი, გ. დიმიტროვი, ვ. კოლაროვი, ჰ. პოლიტი, უ. გალახერი, ვ. პიკი, ვ. ულბრიხტი, ბ. კუნი, ლ. ლონგო, მ. კაშენი, პ. სემარი, უ. ფოსტერი, ო. კუუსინენი, ხ. კატაიამა, ბ. შმერალი, ა. ზაპოტოცკი, ტ. სამუელი და სხვები. მათ მოგონებებში მკითხველთა წინაშე წარმოდგება თვალსაჩინო მოაზროვნისა და პოლიტიკური მოღვაწის ვ. ი. ლენინის სახე, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო ისტორიის მიმდინარეობაზე.

მოგონებათა თვითეული ფურცელი მოწმობს ლენინის სახელისა და მისი იდეების უკვდავებას. გენიალური მოაზროვნის, უდიდესი პროლეტარული რევოლუციონერის შთამბეჭდავი სახე მუდამ დარჩება ყველა ქვეყნის ხალხთა ხსოვნაში. (საკდესი).

უკრაინული ლენინიანა

„უკრაინული ლენინიანა" — ასე ეწოდება დიდ მხატვრულ ალბომს, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის დაბადების 100 წლისთავისათვის ამზადებს რესპუბლიკური გამომცემლობა „მისტეცტვო" („ხელოვნება"). ლამაზად გაფორმებული კრებული წარმოდგენს მოგვცემს ფერწერის; გრაფიკისა და სკულპტურის ნაწარმოებებზე, რომლებიც უკრაინელ ფუნჯისა და საქანდაკო ოსტატებს სხვადასხვა წლებში მიუძღვნიათ ლენინის თემისათვის.

მასალების კრებული „ლენინური გეგმით" გაგვაცნობს მონუმენტური პროპაგანდის დოკუმენტებს, უკრაინაში ოქტომბრის გამოჩენილ მოღვაწეთა ძეგლების დადგმის ისტორიას.

მზადდება აგრეთვე ორიგინალური სასახუცრო გამოცემები. მათ შორის — სახვითი ხელოვნების სოუვენირო ნიმუშების მცირეფორმატიანი ალბომი ლენინის შესახებ „ძვირფასი სახე", ალბომი „ლენინის ძეგლები უკრაინაში", რომელშიც ილუსტრაციებს დართული აქვს საბჭოთა უკრაინელი პოეტების ლექსები. **(საკდესის კორ.).**

ოქტომბერ ოვის შემდეგ მსოფლიოს მთელი პროგრესული კაცობრობა ფართოდ აღნიშნავს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ყველა კონტინენტის ადამიანები ემზადებიან ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის.

საბჭოთა ადამიანები დიდი ოქტომბრის ბელადისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის მომავალ იუბილეს უძღვნიან თავიანთ შრომითს მაღლევებს. ხელოვნების მუშაკები ქმნიან მხატვრულ ტილოებს, სკულპტურულ ნამუშევრებს, მუსიკალურ და ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

ილიჩის იუბილეს უძღვნის თავის ნამუშევარს ქუთაისელი მოქანდაკე გ. ნიკოლაძე. მხატვარი ამჟამად მუშაობს ბელადის ქანდაკებაზე — „ლენინი გამნაზისტი"

ფოტო
გ. ბერსამასი.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

ანგარიშგება-არჩევნები პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში

რატომ დუმდნენ კომუნისტები?

საბჭოთა მშენებლობა

დეპუტატების თაოსნობით

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). სოფელი თამაკონი სახეს იცვლის, კეთილმოწყობილი ხდება. ამაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით დეპუტატებს. დეპუტატებმა ა. ჯაიანმა, დ. ჯანაშიამ აღმასკომში წინადადება შეიტანეს: განეხორციელებინათ სოფლის გზების კეთილმოწყობა და თვითონვე იკისრეს ამ საქმის ხელმძღვანელობა. პირველი ბრიგადის მიმართულებით 3,5 კილომეტრზე გაფართოეს და მოხრეშეს გზა. ამოღებულ იქნა წყალსაწრეტი არხები. შეკეთდა გზები ლეკილასანიეს და ლეგოროზიეს მიმართულებით 2,5 კილომეტრზე.

დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე მოხრეშეს 1,5 კილომეტრი გზა. მიმდინარეობს გზის მშენებლობა მეხუთე ბრიგადის მიმართულებით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, საავტომობილო გზებისა და გზატკეცილების მინისტრის ვ. რობიტაშვილის ინიციატივით აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა დიდი ხიდი ტეხურზე. სასოფლო გზების 95 ხის ბოგირი ბეტონის ხიდებით შეიცვალა. სოფლის გზების კეთილმოწყობის საქმეში დეპუტატებს კარგად დეხმარია გეგეჭკორის რაიაღმასკომის საგზაო-სამშენებლო უბანი.

შეხვედრა ამომრჩევლებთან

საჩხერე. (საკ. კორ.). მჭიდრო ურთიერთობა აქვს ამომრჩევლებთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანს ს. დურმიშიძეს. იგი ამ დღეებშიც შეხვდა ამომრჩევლებს, საქმიანად ესაუბრა მათ.

საჩხერის № 220 საარჩევნო ოლქში დეპუტატმა შეისწავლა არასრულწოვანთა შორის მართლწესრიგისა და დანაშაულებრივი ქმედების მდგომარეობა. დეპუტატი ესაუბრა მასწავლებლებს და ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეთა მშობლებს სკოლისა და ოჯახის ურთიერთობაზე. იგი შეხვდა აგრეთვე საბალხო განათლების მუშაკებს. საუბრის თემა იყო საყოველთაო-სავალდებულო წწავლების კანონის გატარების კონკრეტული საკითხები, ყველი ბავშვის სწავლებაში ჩაბმის აუცილებლობა.

ერთწლიანი სკოლა

აბაშა. (საკ. კორ.). აბაშასან აქ შეექმნა სასოფლო, საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებისა და მდივნების ერთწლიანი სკოლა, რომლის ხელმძღვანელია რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ნადარეიშვილი. სკოლის მსმენელები შეისწავლიან საბჭოთა მშენებლობის აქტუალურ საკითხებს, უმაღლეს საბჭოს და მთავრობის ახალ გადაწყვეტილებებს.

ქუთაისი

ეკ-2 გაზეთი, სამშაბათი,
2 დეკემბერი, 1969 წ.

ქმეყანა ეგებება გ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს და ლენინის იუბილეს აღსანიშნავად სულ უფრო ფართოდ იშლება სოციალისტური შეჯიბრება, რომლის აქტიური მონაწილენი არიან სამრეწველო საწარმოთა და სახალხო მეურნეობის მშრომელები. შემოდგომა-ზამთრის პერიოდი მეტად პასუხსაგებია. ამ პერიოდისათვის დროული მომზადება წარმატებების საწინდარია. ბევრ საწარმოში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული ზამთრისათვის მოსამზადებლად, შეზიდულია გათვალისწინებული რაოდენობის სათბობი, მიღწეულია ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ეკონომია, შექმნილია სათბობის საჭირო რეზერვი.

მიმდინარე წლის ცხრა თვის მუშაობის შედეგების მიხედვით მარტო კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა დაზოგეს 5,9 პროცენტი ელექტროენერგია, 2,3 პროცენტი სათბობი.

სამწუხაროდ, მიუხედავად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილებებისა, ზოგიერთი სამინისტროს, საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს მისი შესრულება, ვერ შექმნეს მუშაობის ნორმალური პირობები.

მაგალითად, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს მთელ რიგ საწარმოებში რაციონალურად არ იყენებენ სათბობსა და ელექტროენერგიას, არ არის აღმოფხვრილი მათი გადახარჯვის ფაქტები. ზოგიერთ საწარმოში არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია სათბობისა და ელექტროენერგიის ნორმირება, მიშვებულია მისი ხარჯვის აღრიცხვა და ანგარიშგებელობა, არ არის უზრუნველყოფილი სათბობის გამოყოფილი ფონდების შემოტანა.

თუმცა მთლიანად სამინისტროს ხაზით მიმდინარე წლის მესამე კვარტალში და 9 თვეში ელექტროენერგიის გამოყენების მაჩვენებლები დამაკმაყოფილებელი არ არის, წლის მეორე ნახევარში ელექტროენერგიის ხარჯვის 3 პროცენტით შემცირების დავალების მიუხედავად, „საქლუდლიმონათის" სამმართველოში ელექტროენერგიის ეკონომიამ მე-3 კვარტალში შეადგინა 2,6 პროცენტი, ხოლო „საქპურის" ტრესტში — 2 პროცენტი, ამასთან სამინისტროს 8 საწარმომ მიმდინარე წლის 9 თვეში დაუშვა ელექტროენერგიის გადახარჯვა, აქედან 5 „სამტრესტის" სისტემისა, ხოლო 3 — „საქპურის" ტრესტისა.

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში სამინისტროს ხაზით სათბობი დაზოგილია 2,9 პროცენტი, მაგრამ ამასთანავე „საქთამბაქოს" ტრესტში დაზოგილია — 2,3 პროცენტი, „საქართველოს ჩაის" ტრესტში — 1,5 პროცენტი და „საქპურში" — მხოლოდ 0,7 პროცენტი. ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ 5 საწარმო მესამე კვარტალში განაგრძობდა სათბობის გადახარჯვას, მათ შორის 3 — „სამტრესტის" სისტემისა და 2 — „საქპურის" ტრესტისა.

ამმიტის ღვინის ქარხანაში სათბობის გადახარჯვა მიმდინარე წლის მე-3 კვარტალში 26 ტონით გაიხარდა და 9 თვეში შეადგინა 39 ტონა, აკურის ღვინის ქარხანაში შესაბამისად — 24 ტონით და 27 ტონით, ცაგერის ღვინის ქარხანაში — 31 ტონით და 46 ტონით.

ბევრ საწარმოში არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია სათბობის მეურნეობა, არ არის უზრუნველყოფილი ორთქლსადენების თბოიზოლაცია, ხდება ორთქლის გაჟონვა, არადამაკმაყოფილებელია წყლის ქიმიური წმენდა, რის შედეგადაც ქვაბებში ჩნდება მინადული, რაც სათბობის ზედმეტ ხარჯვას იწვევს. ამიერკავკასიის მუშავება-გამართვის სამმართველოს „კავმბრწყვორგის" მონაცემებით, რომელიც სამინისტროსთან ხელშეკრულებით შესაბამის გამოკვლევას ეწევა, თუ აღმოფხვრილ აღნიშნულ ნაკლოვანებებს, რომლებიც არ უკავშირდება კაპიტალურ დანახარჯებს, 14 შემოწმებულ ობიექტზე წელიწადში შეიძლება დაიზოგოს დაახლოებით 1.600 ტონა პირობითი სათბობი.

სამინისტრო, მისი ტრესტები და სამმართველოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ენერგიის ხარჯვის აღრიცხვასა და სიმძლავრის კოეფიციენტის გადიდებას, დაშვებულია ძალური ტრანსფორმატორების ექსპლუატაცია უაღრესად უმნიშვნელო დატვირთვების დროს.

ასეთი ფაქტები გვაქვს ჩოხატაურის № 2 და № 3, ლიხაურისა და ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკებში, არგვეთის ღვინის ქარხნების სამმართველოსა და ვარციხის ღვინის ქარხანაში, ბათუმის პურისა და ლუდის ქარხნებში.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად სამინისტროში მაზუთის დაგროვების დაკავლება სრულდება, „საქკონდიტერის" ტრესტში შეზიდულია 13 ტონით ნაკლები, ხოლო „საქლუდლიმონათის" სამმართველოში — 70 ტონით ნაკლები. ქვანახშირის მარაგი სამინისტროს ხაზით მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის უნდა ყოფილიყო 10.400 ტონა, ფაქტიურად კი იყო მხოლოდ 7.750 ტონა, რაც გამოწვეულია იმით, რომ 9 თვეში 27 პროცენტით ვერ აითვისეს ქართული ქვანახშირის ფონდები.

ეს ნაკლოვანებანი ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ზემოთადნიშნულ დადგენილებას დროულად და სათანადოდ არ ეხმაურება ზოგიერთი ტრუსტი ან ბევრ საწარმოს დიდი დაგვიანებით აცნობენ.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სათბობითა და ელექტროენერგიით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფის შესახებ ზოგიერთ სამრეწველო საწარმოსა და კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციაში.

თბილისის სახბინის ფონდის თბომომარაგება ჯერ კიდევ დაბალია და მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 48 პროცენტს, ხოლო ცხელი წყლით მომარაგება — მხოლოდ 15 პროცენტს, მაშინ როცა ეს ციფრები 1970 წლისათვის შესაბამისად უნდა შეადგენდეს 83 და 82 პროცენტს. ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ საუბნო და რაიონული საქვაბეების დაგეგმვა და მშენებლობა და თბოქსელების გაყვანა უაღრესად არადამაკმაყოფილებელ სრულდება. განვლილი სამი წლის მანძილზე ქალაქის თბომეურნეობას დააკლეს ხუთი რაიონული საქვაბე, რომლებიც ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმით იყო გათვალისწინებული.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი (კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი ვ. ჯაფარიძე) ამ მიზნებისათვის გამოყოფილ სახსრებს ქსაქსავს მრავალ ობიექტზე, რის გამოც ჭიანურდება თბომეურნეობათა მშენებლობის ვადები. ხშირად საექსპლოატაციოდ გადაცემულ საცხოვრებელ სახლებს დიდხანს არა აქვთ თბომომარაგება. მთელ რიგ შემთხვევებში თბომეურნეობებს საექსპლოატაციოდ გადასცემენ, როცა არ არის შენობათა კარკასები, სახურავები და საყოფაცხოვრებო სათავსები. მაგალითად, ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე საქვაბეს ამუშავებენ 1969 წლის 20 იანვრიდან, მაშინ, როცა საქვაბე შენობის მხოლოდ ნულოვანი ციკლი დამთავრდა 1 ოქტომბერს. ღია ციცქვემ ქვაბის ექსპლოატაციამ მწყობრიდან გამოიყვანა იგი, აგრეთვე ხუთი ცენტრიდანული ტუმბო და სხვა ნაწილები, რომელთა აღდგენითს სამუშაოებზე დაიხარჯა 10 ათასი მანეთი. ანალოგიური მდგომარეობა იყო საბურთალოს ქუჩის საქვაბეში.

ზოგიერთ სამშენებლო ორგანიზაციაში სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის გამო მოლიანად ვერ ითვისებენ იმ უმნიშვნელო სახსრებსაც კი, რომლებსაც თბილისის საბჭოს აღმასკომი გამოაყოფს სათბოფიკაციო ნაგებობათა მშენებლობისათვის. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 10 ტრესტის (მმართველი ჰ. ნაკაიძე) № 3 სამშენებლო სამმართველომ (უფროსი გ. დოლიძე) საბურთალოს ქუჩაზე რაიონულ სათბოს საქვაბეში 1968 წელს ამოქმედა მხოლოდ სიმძლავრეების ნახევარი, მიმდინარე წლის ცხრა თვის მანძილზე კი სიმძლავრეთა ამოქმედება სრულიად ჩაფუშეს. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა მხოლოდ 50 პროცენტით შესრულდა. ანალოგიური მდგომარეობა შეიმჩნევა № 3 ტრესტის (მმართველი კ. ჭანჭალიშვილი) № 6 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ს. ტყეშელაშვილი) და „მთავართბილმშენის" № 8 სამშენებლო სამმართველოში (უფროსი ნ. სიხარულიძე), თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბომეურნეობის სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო კანტორაში (უფროსი ა. სურგულაძე).

სათბობი საქვაბეების მშენებლობის ვადები იმიტომ ჭიანურდება, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ჯეროვნად არ მარაგდება ტექნოლოგიური მოწყობილობით და დროულად არ ანთავისუფლებს პროექტით გათვალისწინებულ ტერიტორიებს, რომლებიც სათბობი მეურნეობებისათვისაა გათვალისწინებული.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტ�და ბ. ის თბომეურნეობის სამმართველოს დღემდე არ მოუწესრიგებიათ გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგებისათვის „მშენინდუსტრიის" № 2 ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატს (დირექტორი ე. მაისურაძე) დღემდე არ შეუსრულებია მაზუთის სარეზერვუარო საცავების პროექტი, № 3 სამრეწველო საწარმოების კომბინატმა კი (დირექტორი კ. უჩანეიშვილი) სათბობის სარეზერვუარო ტევადობათა შექმნა გადადო კომბინატის მომავალ რეკონსტრუქციამდე.

თბილისის „ფოლადთუჯსასხმელო" ქარხნის მაზუთის სარეზერვუარო საცავის მშენებლობაზე, რომელსაც ამენებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „თბილმრეწმშენის" ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველო (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ო. კომახიძე) გასული წლის მეოთხე კვარტლიდან უსაფუძვლოდ შეწყდა სამშენაოები. მაზუთის საცავის მშენებლობისათვის გამოყოფილი ფული კი ქარხნის ხელმძღვანელობამ (კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მთავარი ინჟინერი კ. გაბუნია) დახარჯა სხმულის საწყობის, რკინიგზის ჩიხის მშენებლობისა და მშენებლობასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოებისათვის.

არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მუშაობა თბილისის სახეი ჩარხების ქარხნის, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, „ელექტროგამშვების", თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მაზუთის რეზერვუარების მშენებლობაზე.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა რესპუბლიკის კგბების მრეწველობის სამინისტროს, მის ტრესტებს — „სამტრესტის", „საქართველოს ჩაის", „საქპურის", საქართველოს მცენარეული და ეთერვანი ზეთების, „საქთამბაქოს", „საქკონდიტერის" ტრესტებს, „საქლუდლიმონათისა" და „საქმინწყლების" სამმართველოებს დაავალა დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, და საქკეუწყლო საწარმოებში განახორციელონ ენერგეტიკული რესურსების დაზოგვის; სათბობის უცვლელი მარაგის შექმნის დამატებითი ღონისძიებანი.

რესპუბლიკის კგბების მრეწველობის სამინისტროს დაევალა

ᲫᲚᲝᲕᲚᲘᲐ ᲓᲦᲔᲡ

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲗᲕᲘᲡ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 1 დეკემბერი. (საკდესი). მშრომელთა დიდ ბელადის დაბადების 100 წლისთავისათვის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოიცა ვ. ი. ლენინის 80-მდე ნაწარმოები, აგრეთვე წიგნები, რომლებიც მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავენ.

სახალხო ხელისუფლების წლებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 12 მილიონზე მეტ ცალად გამოიცა ლენინის შრომები და წიგნები ლენინზე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მარტო პოლიტიკურმა გამომცემლობამ „დიდ ფერლაგმა“ გამოსცა 50 ასეთი ნაწარმოები. ზოგიერთი მათგანი რამდენჯერმე გამოიცა.

ᲡᲔᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲥᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 1 დეკემბერი. (საკდესი). შეერთებული შტატების მთელ რიგ პოლიტიკურ მოღვაწეთა ᲓᲚᲔᲜᲗᲝᲗᲝᲒᲐᲡ ᲘᲬᲘᲕᲔᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ.

გუშინ „სი-ბი-ესის“ კომპანიის სატელევიზიო პროგრამით გამოსვლისას სენატორმა მაკჰოვერნმა აღნიშნა, რომ „ეს ფაქტები ერთიული შემთხვევა როდია“. „ცნობილია, — თქვა მან, რომ ამერიკელი ჯარისკაცები სამხრეთ ვიეტნამში ზედიზედ წვავენ სოფლებს და სასტიკად უსწორდებიან მშვიდობიან მოსახლეობას“. ის ფაქტი, განაგრძო ორატორმა, რომ ამერიკის საზოგადოებრიობამ ძალიან გვიან შეიტყო ეს შემზარავი დანაშაულობანი, მოწმობს მთავრობის ცდებს მიჩქმალოს სამხრეთ ვიეტნამში მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების საექსპედიციო კორპუსის ჯარისკაცთა დანაშაულობანი.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲔᲜᲢᲗᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡᲒᲐᲜᲘ

ᲯᲐᲜᲝᲜᲘ, 1 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკელი აგრესორები განაგრძობენ დანაშაულობებს სამხრეთ ვიეტნამის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. როგორც იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს პრესის სააგენტო განთავისუფლებას, ორი თვის განმავლობაში 20 ნოემბრამდე კამაუსა და ბაკზიის პროვინციებში ინტერვენტებმა დაწვეს 700-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი.

ამერიკელი აგრესორები მასობრივად ხოცავდნენ აგრეთვე სრულიად უდანაშაულო მშვიდობიან მცხოვრებლებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ ᲛᲝᲘᲒᲖᲐᲠᲘᲔᲡ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 1 დეკემბერი. (საკდესი). ᲒᲣᲨᲘᲜ 18 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘ ᲬᲣᲗᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲛᲝᲒᲠᲘᲕᲘ ᲓᲠᲝᲘᲗ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲗᲐ ᲯᲐᲒᲣᲤᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲗᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲘᲗᲮᲝᲓᲐ ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲪᲔᲡᲘᲡ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ.

როგორც აღნიშნულია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამხედრო სარდლობის განცხადებაში, საჰაერო დაცვის ძალებმა ცეცხლი დაუშინეს მოწინააღმდეგის თვითმფრინავებს და აიძულეს უკან გაბრუნებულიყვნენ.

ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲒᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის მოწვევით 1969 წლის 24 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი პოულ ჰარტლინგი. მას ახლდნენ დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

მოსკოვში ყოფნის დროს დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და ესაუბრა ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

პ. ჰარტლინგი და მისი თანმხლები პირები, გარდა მოსკოვისა, ეწვევნენ აგრეთვე ერევანსა და ლენინგრადს, სადაც გაეცნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოსა და დანიის საგარეო საქმეთა მინისტრს პ. ჰარტლინგს შორის გაიმართა მოლაპარაკება. რომლის მსვლელობაში შეეხენენ ერთ რიგ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-დანიის ურთიერთობის საკითხთა ფართო წრეს. მოლაპარაკება გულახდილობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა.

საბჭოთა კავშირ-დანიის კომუნიკედან აღნიშნულია, რომ მოლაპარაკებამ გამოავლინა ერთიანობა მხარეთა შეხედულებებისა იმის შესახებ, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება უფრო მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთნდობის ატმოსფერო ყველა სახელმწიფოს შორის, მიუხედავად მათი სოციალური და ეკონომიური სისტემებისა. ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როგორც საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების ინსტრუმენტის მხარდაჭერასა და განმტკიცებას.

ევროპის პრობლემებზე მოლაპარაკების დროს მიღწეულ იქნა აზრთა ერთიანობა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების აქტიური პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელობის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის პრობლემებზე თათბირის მოწვევის საკითხს. როგორც საბჭოთა კავშირის, ისე დანიის მთავრობა მზად არიან შეიტანონ თავიანთი წვლილი ამ თათბირის მოსამზადებელ მუშაობაში.

ორივე მხარემ აღნიშნა, რომ აწუხებთ ახლო აღმოსავლეთში ვითარების გამწვავება. მათ დიდად საშუხაროდ მიიჩნიათ, რომ დღემდე არ მოხერხდა სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარება ამ რაიონში უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის საფუძველზე.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ვიეტნამის პრობლემის გამო. ისინი დათანხმდნენ, რომ ამ პრობლემის გადაჭრა უნდა მოხდეს მშვიდობიანი გზით — მოლაპარაკების საშუალებით. ორივე მხარე დარწმუნებულია, ნათქვამია კომუნიკეში, რომ მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფად და საერთაშორისო უშიშროების განსამტკიცებლად საჭიროა შემდგომი პროგრესი განიარაღების დარგში. დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მიმართულებით იქნებოდა ხელმოწერა შეთანხმებისა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, და ორივე მხარე მხარს უჭერს ღონისძიებებს იმ მიმართულებით, რომ ეს ხელშეკრულება, თუ მას თანართად შეუერთდებიან სახელმწიფოები, შეძლება ძალაში შევიდეს უახლოეს დროში.

დანიის მხარემ დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაიწყო მოლაპარაკება სტრატეგიული ატომური შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

საბჭოთა კავშირ-დანიის ურთიერთობის განხილვისას მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ამ უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირისა და დანიის ურთიერთობას ახასიათებს ნაყოფიერი თანამშრომლობის გაფართოება სხვადასხვა დარგში. განხილულ იქნა იმის შესაძლებლობანი, რომ ხელი შეუწყონ ორ ქვეყანას შორის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებას.

ორივე მხარემ გამოთქვა აზრი, რომ საბჭოთა კავშირ-დანიის მოლაპარაკება სასარგებლო იყო და ხელი შეუწყო ერთმანეთის პოზიციების უკეთ გაგებას.

როგორც აღნიშნულია კომუნიკეში, დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. ჰარტლინგმა დანიის მთავრობის სახელით კვლავ სთხოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს ოფიციალური ვიზიტით ჩავიდეს დანიაში. ეს მიწვევა მიღებულ იქნა მადლობით. ვიზიტის დროს შეათანხმებენ დიპლომატიური არხებით.

დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. ჰარტლინგმა სთხოვა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს ოფიციალური ვიზიტით ჩავიდეს დანიაში. ეს მიწვევა მადლობით იქნა მიღებული. ვიზიტის დროს დამატებით შეათანხმებენ. (საკდესი).

ᲣᲚᲢᲠᲔᲑᲘ ᲥᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲘᲡᲐᲜ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 1 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ლ. ეგალოვი გვატყობინებს:

ულტრამემარჯვენე ძალები კვლავ განამტკიცებენ თავიანთ პოზიციებს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ასპარეზზე.

ამერიკელი ულტრების ერთერთმა ლიდერმა, 1968 წლის არჩევნებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატმა რასისტმა ჯ. უოლესმა გუშინ ისარგებლა ამერიკის ტელევიზიის „თავაზიანობით“, რათა ქვეყნის მილიონიანი აუდიტორიისთვის გაეცნო თავისი მორიგი კაკომოძოული „პროგრამა“. უოლესმა გამოიყენა „კომუნისტური საფრთხის“ გაცვეთილი საფრთხობელა და მოითხოვდა „ვიეტნამის ომის განგრძობას გამარჯვებამდე, რათა ხელი შეუშალონ კომუნიზმის შეღწევას აზიაში“. ეს რეაქციონერი მოითხოვდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ „ხელი აიღოს სამხრეთ ვიეტნამიდან ჯარების გამოყვანის ყოველგვარ გეგმებზე“ სანამ ამერიკის შეერთებული შტატები „არ გაანადგურებს მოწინააღმდეგეს და არ მოიგებს ომს“.

ჯ. უოლესმა, რომელიც ცნობილია თავისი რეაქციული შეხედულებებით საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში, ქათინაურებით შეამკო ვიცე-პრეზიდენტის აგნიუს ამასწინანდელი განცხადებანი, რომლებშიც ეს უკანასკნელი თავს ესხმოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ომის საწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილეებს.

პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი პირწავარდნილ რეაქციონერთა, რასისტთა და აგრესიულ ობივატელთა შორის ეძებს დასაყრდენს. მან ხაზი გაუსვა, რომ კვლავ აჩაღებს პოლიტიკურ ბრძოლას ქვეყანაში. „ჩვენი მოძრაობა, დაუფარავად განაცხადა უოლესმა, — ვრცელდება“.

ამერიკის პროპაგანდა გაძლიერებით უწევს რეკლამას ამ პირწავარდნილი რეაქციონერის ამასწინანდელ მოგზაურობას სამხრეთ ვიეტნამის „გასაცნობად“, სადაც უოლესმა ამერიკელ „ცოფიანთა“ სახელით ქება შეასხა ძირმომპალ საიგონის რეჟიმს და მოითხოვდა ომის ესკალაციას.

ᲒᲛᲝᲑᲔᲜ ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲗᲐ ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ

სტოკჰოლმი, 1 დეკემბერი. (საკდესი). **უპასალში გაიმართა საპარლამენტო დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის მხედრიონმა ბარბაროსულად ამოწყვიტა ვიეტნამის სოფლის თემის მშვიდობიანი მოსახლეობა.**

სონგმის მოსახლეობის გაჟლეტა ვიეტნამის ომის იზოლირებული მოვლენა როდია, განაცხადა ამ დემონსტრაციის ერთერთმა მონაწილემ სტიგ ჰელინგმა მიტინგზე, რომელიც დემონსტრაციის შემდეგ გაიმართა. ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული იყო ეღიარებინა, რომ სონგმეში ჩადენილი დანაშაულის მსგავსი ბოროტმოქმედება წინათაც ჩადენილიათ. სონგმის მოსახლეობის ამოწყვეტისათვის პასუხისმგებლობა უწინარეს ყოვლისა ეკისრებათ პენტაგონს, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს.

ბრიუსელი, 1 დეკემბერი, (საკდესი). **„ორადური ვიეტნამში“ — ასე უწოდა გაზეთმა „დრაპო რუჟმა“ სტატიას, რომელიც მიეძღვნა სამხრეთ ვიეტნამის სოფლების მოსახლეობის ჟლეტას.** გაზეთში დაწვრილებით აღწერენ ამერიკელ ინტერვენტთა დანაშაულს, რომლებიც პირისაგან მიწისა ჰგვიან მთელ დასახლებულ პუნქტებს, არ ინდობენ არც მოხუცებს, არც ქალებს, არც ბავშვებს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ მეულგიის საზოგადოებრიობა პასიური ვერ დარჩება. „დღეს ყოველმა ჩვენგანმა უნდა დაგმოს ვიეტნამში ჩადენილი ეს ბოროტმოქმედება და ხელი შეუწყოს მის უსწრაფესად შეწყვეტას“.

ლონდონი, 1 დეკემბერი. (საკდესი). **მკვეთრად დაგმეს ამერიკის მხედრიონის ბოროტმოქმედება სამხრეთ ვიეტნამში ინგლისის მშვიდობის მომხრეთა კონფერენციის დელეგატებმა, რომელმაც აქ დაამთავრა მუშაობა.** საგანგებო რეზოლუციაში, რომელიც ერთხმად მოიწონეს კონფერენციის მონაწილეებმა, გამოთქმულია მტკიცე პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკელი ჯარისკაცები სასტიკად აუსწორდნენ სონგმის თემის მშვიდობიან მცხოვრებლებს.

ინგლისელ მოსახლეობას ეჭვი ეპარებოდა, ამბობენ ბოლო დროს ამერიკის მხედრიონი ეფექტურად უსწორდება სამხრეთ ვიეტნამის მშვიდობიან მცხოვრებლებს. როგორც კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, საჭიროა ინგლისში გაფართოვდეს კამპანია, რომლის მთავარი მოთხოვნა იქნება მთლიანად გამოიყვანონ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა თავიანთი ჯარები ვიეტნამიდან.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

□ **სანტიაგო,** (საკდესი). **აქ მუშაობა დაამთავრა ჩილეს კომუნისტური პარტიის მე-14 ყრილობამ. დელეგატებმა ერთსულოვნად მოიწონეს ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში.**

ყრილობაზე აირჩიეს ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

გაიმართა ცენტრალური კომიტეტის პირველი სხდომა, რომელზეც პარტიის გენერალურ მდივნად კვლავ პირჩიეს ლუის კორვალანი, გენერალური მდივნის მოადგილედ — ოსკარ ასტუდილო.

□ **სოფია,** 1 დეკემბერი (საკდესი). **როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ ვარნაში დამთავრდა ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კინემატოგრაფისტთა საერთაშორისო თათბირი. თათბირზე განიხილეს ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნის პროგრამა.**

კინემატოგრაფისტებმა განიხილეს აგრეთვე ფილმების წარმოებისა და გავრცელების მთელი რიგი ტექნიკური პრობლემები.

□ **დამასკო,** 1 დეკემბერი. (საკდესი). **ისრაელს ჯარებმა გუშინ ბუ რაჯმის რაიონში ნალმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინეს სირიის პოზიციებს ცეცხლის შეწყვეტის ხაზის სამხრეთ სექტორში. სირიის მხარემ ცეცხლითვე უპასუხა.**

ᲛᲝᲠᲘᲒᲓᲜᲔᲚ ᲰᲘᲑᲠᲐᲚᲢᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲔᲠᲗᲑᲐᲨᲐᲕᲐᲓ ᲩᲐᲥᲠᲐ ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ — ᲰᲘᲑᲠᲐᲚᲢᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲐᲗᲘ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡᲐᲜᲐᲪ ᲙᲘ ᲛᲝᲗᲮᲜᲔᲡ „ᲰᲘᲑᲠᲐᲚᲢᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲪᲘᲮᲚᲔ“, ᲓᲐᲡᲐᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲠ ᲐᲮᲡᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ“ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲰᲘᲑᲠᲐᲚᲢᲐᲠᲘᲡ გამო კონფლიქტში ამბების ნამდვილ განვითარებას შუქს ფენს ცნობა იმის შესახებ, რომ ამას წინათ დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო-საზღვაო მინისტრის ჯონ ჩეფისა და ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსის გენერალ რაინის ვიზიტი მადრიდში. შეერთებული შტატები აშკარად შეშფოთებული იყო მადრიდსა და ლონდონს შორის ატეხილი დავის გამო. მისი აზრით, ამ დავას ზიანი მოაქვს ვაშინგტონის პოლიტიკისათვის ხმელთაშუა ზღვის რაიონში და შეიძლება განხეთქილება ჩამოაგდოს ნატოს სამხედრო სისტემაში.

ვაშინგტონის წარმომადგენლებმა, როგორც დასავლეთის პრესის ცნობებიდან ჩანს, ესპანეთის შესთავაზეს ეგრეთწოდებული „კომპრომისური გარიგება“. რომლის არსი ის არის, რომ ჰიბრალტარის ბაზა გადასცენ ნატოს იურისდიქციას, ამავე დროს ცნონ როგორც ინგლისის, ისე ესპანეთის სიმბოლური უფლებანი. შეერთებული შტატები დაპირდა ფრანკისტულ ესპანეთს, რომ ხელს შეუწყობს მისი დიდი ხნის ოცნების განხორციელებას გახდეს ნატოს წევრი და დარწმუნა იგი ნაწილობრივ დათმოს თავისი ინტერესები ჰიბრალტარის საკითხში.

ამ გარიგების შედეგად კმაყოფილია ინგლისიც. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აღარ განიხილავენ „ჰიბრალტარის საკითხს“, რომლის გამო დისკუსიას კარგი არაფერი მოპყვებოდა.

მაგრამ ამ იმპერიალისტური ვაჭრიგებიდან ყველაზე მეტ მოგებას იღებს შეერთებული შტატები. ეაინარა მარტო დაუახლოვა ესპანეთი ნატოს, არამედ მიიღწია იმისაც, რომ ესპანეთი დიდ ოთმობაზე წავიდა მის ტერიტორიაზე ამერიკის ბაზების საკითხის გადაწყვეტაში. როგორც ცნობილია, შეთანხმებას ამის შესახებ ვადა გაუდის 1970 წლის სექტემბერში. პენტაგონი ესწრაფვის, რომ როგორმე შეინარჩუნოს თავისი უდიდესი როტის სამხედრო-საზღვაო ბაზა, მას იყენებენ ამერიკის შეერთებული შტატების მეექვსე ფლოტის ხომალდები და წყალქვეშა ნავები, რომლებიც აღჭურვილია „პოლარისის“ ტიპის რაკეტებით.

ამ ბაზასა და ჰიბრალტარს, რომელიც ნატოს სისტემაში შევა, ამერიკის მხედრიონი დიდმნიშვნელოვან როლს ანიჭებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლიბიის რევოლუციონერმა საბჭომ მოსთხოვა ამერიკის შეერთებულ შტატებს გაიყვანოს თავისი უიოლუს ფილდის სამხედრო ბაზა ლიბიის მიწაზე. ამ ბაზას დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკის სტრატეგიისათვის ხმელთაშუა ზღვაში. (საკდესი).

ᲛᲝᲠᲘᲒᲓᲜᲔᲚ ᲰᲘᲑᲠᲐᲚᲢᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲙᲣᲠᲘ ᲜᲘᲒᲖᲔᲠᲘᲐ





ᲜᲘᲖᲔᲠᲘᲘᲡ დედაქალაქ ლაგოსის ერთერთი რაიონი — აპაპას ნავსადგური გვინეის ყურეს სანაპიროზე მდებარეობს. ამ საზღვაო ნავსადგურიდან ნიგერია უცხოეთში გზავნის თავის ძირითად პროდუქტებს — კაკაოს მარცვალს, ზეთს, მიწის თხილს.

● სურათზე (მარცხნივ): საბჭოთა თბომავალ „მგას“ — გადმოტვირთვა. საბჭოთა თევზსაჭერი გემები, რომლებიც ატლანტის ოკეანეში რეწვას აწარმოებენ — და თბომავლები აპაპას ნავსადგურის ხშირი სტუმრები არიან.

● სურათზე (მარჯვნივ ზემოთ): ნიგერიელები ეროვნულ ტანსაცმელში.

● სურათზე (მარჯვნივ ქვემოთ): ლაგოსის ცენტრალური მაგისტრალის — მარინას სანაპიროს ხედი.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲓᲔᲡ...

ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲖᲔ

ᲐᲛ ᲗᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ იტალიის დედაქალაქ რომში გაიმართა სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის X კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ევროპის, ამერიკის, აზიისა და ავსტრიის 48 ქვეყნის 376 მეცნიერი-კრიმინალისტი.

საბჭოთა კავშირიდან კონგრესზე მიწვეული იყვნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ᲐᲚ. ᲙᲘᲝᲜᲢᲙᲘᲜᲘᲩᲘ (დელეგაციის ხელმძღვანელი), დანაშაულის მიზეზების შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ᲕᲚ. ᲙᲣᲓᲠᲘᲐᲕᲪᲔᲕᲘ, პროფესორი Ი. ᲙᲐᲠᲞᲔᲪᲘ, ალმა-ატის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე პროფესორი ᲐᲚ. ᲛᲐᲠᲐᲯᲔᲚᲝᲕᲘ, დოცენტები ᲐᲚ. ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲘ, ᲕᲚ. ᲨᲣᲙᲘᲚᲝᲕᲘ. ჩვენი რესპუბლიკიდან დელეგაციაში შედიოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის გამგე, პროფესორი ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲧᲐᲠᲐᲛᲘᲗᲘ.

◆

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი Ლ. ᲮᲣᲒᲣᲚᲐᲕᲘ ამ დღეებში შეხვდა პროფესორ Თ. ᲧᲐᲠᲐᲛᲘᲗᲘᲡ და სთხოვა „კომუნისტის“ მკითხველებისათვის მოეთხრო კონგრესის მიმდინარეობისა და იმ ძირითადი საკითხების შესახებ, რომლებსაც განიხილავდნენ მსოფლიოს ცნობილი კრიმინალისტები.

ᲗᲕᲘᲗᲓᲐᲕᲓᲐ პროფესორის ნაამბობს:

— კონგრესის სხდომა გაიხსნა რომში კაპიტოლიუმის სასახლეში. იგი გახსნა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა, პროფესორმა ლეონემ.

მეორე დღეს კი დაიწყო პროგრამით გათვალისწინებული ოთხი სექციის მუშაობა. პირველ სექციაში განიხილავდნენ საფრთხის შემქმნელ დანაშაულთა საკითხებს. სწორედ ამ სექციაში მომიხდა მოსსენებით გამოსვლა, თუმცა აქვე უნდა შევნიშნო, რომ კონგრესს წინ უსწრებდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა, ყველა განსახილველი მოხსენება წინასწარ გამოქვეყნდა კონგრესის ორგანში, ასე რომ მე მხოლოდ თეზისების წაკითხვა მომიხდა.

საბჭოთა დელეგატების განმარტებით, საფრთხის ცნება ემყარება რეალური შესაძლებლობის დიალექტიკურ კატეგორიას. პიროვნება რომ პასუხისგებაში იქნეს მიცემული, არ არის საკმარისი იმის დადგენა, რომ მას სუბიექტურად ჰქონდა წარმოდგენილი საფრთხის შესაძლებლობა. საჭიროა დადასტურებულ იქნას, რომ საფრთხე ნამდვილად რეალურად არსებობდა კოლექტიური ან ინდივიდუალური ინტერესებისათვის. ეს იყო ერთ-ერთი სადავო თეორიული საკითხი.

შემდეგ ჩვენმა დელეგატებმა მოითხოვეს, რომ ერთ-ერთი დანაშაული, რომელიც საფრთხეს უქმნის მრავალი ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, აგრეთვე სხვა კოლექტიურ და ინდივიდუალურ ინტერესებს, არის ომის პროპაგანდა. ეს არის მძიმე დანაშაული, რომელიც სასურველია შეტანილ იქნას კონგრესის მონაწილე ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში. დელეგაციის წინადადება მოიწონეს ჯერ სექციის სხდომაზე, შემდეგ კი კონგრესზეც და რეზოლუციის პირველ პუნქტად არის გათვალისწინებული.

საინტერესოდ გამოვიდა ჩვენი დელეგაციის წარმომადგენელი IV სექციაში, სადაც განიხილავდნენ ომის დამნაშავეთა გადაცემის საკითხს. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვიდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლები, რომლებსაც ამ სექციაში 10 წევრი ყავდათ. მათ განაცხადეს, რომ ომის დამნაშავეთა გადაცემა დასაშვებად მიაჩნიათ მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, რომლებთანაც აქვთ მეგობრული პოლიტიკური ურთიერთობა. საბჭოთა იურისტებმა თავიანთ გამოსვლებში დაასაბუთეს ფედერაციული გერმანიის წარმომადგენელთა ამ განცხადების უსაფუძვლობა. მათი აზრით, ომის დამნაშავეთა გადაცემის საკითხი არ შეიძლება უკავშირდებოდეს იმას, აქვს თუ არა ამა თუ იმ სახელმწიფოს მეგობრული დამოკიდებულება იმ სახელმწიფოსთან, სადაც სამხედრო დანაშაულია ჩადენილი. თანაც ომის დამნაშავეებზე არ უნდა ვრცელდებოდეს დევნის ხანდაზმულობა. აღსანიშნავია, რომ გერმანელთა წინადადებას მხარს უჭერდა სექციის პრეზიდენტი ჰოლანდიელი ვან ბეგელი. მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, საბჭოთა წინადადება ამ საკითხზე მიიღეს და კონგრესის რეზოლუციაშიც შეიტანეს.

კამათი გაიმართა აგრეთვე მესამე სექციაში, სადაც განიხილავდნენ მოსამართლის როლს სასჯელის განსაზღვრისა და დანიშვნის საკითხში. აქ ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი უკიდურესი მიმართულება.

ერთნი მოითხოვდნენ, რომ მოსამართლემ უნდა გამოიტანოს მხოლოდ განუსაზღვრელი განაჩენი, რომ მან საქმის განხილვის მომენტში არ უნდა განსაზღვროს სასჯელის ვადა, არამედ იგი დაზუსტებულ უნდა იქნას სასჯელის აღსრულების პერიოდში.

მეორე მიმართულების წარმომადგენლები მოითხოვდნენ, რომ სასჯელი გამოტანილ უნდა იქნას ზუსტად კანონის შესაბამისად. ჩვენმა წარმომადგენელმა ილაპარაკა სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესახებ, აღნიშნა, რომ სასჯელის ვადა კონკრეტულად უნდა განისაზღვროს და ემყარებოდეს კუმანიზმის პრინციპებს. საჭიროა მხედველობაში მივიღოთ როგორც საქმის ყველა გარემოება, ისე დამნაშავის ინდივიდუალურ დამახასიათებელი თვისებები.

სექციების მუშაობის დამთავრების შემდეგ რეკ

„ვეფხისტყაოსანი“ —მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკაში

მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურა“. შესამე წელია სცემს „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკას“ სამ სერიად და 200 ტომად. პირველ სერიაში, რომელიც 64 ტომისაგან შედგება, შედის ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური სამყაროს, შუა საუკუნეების, აღორძინების ხანისა და XVII-XVIII საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის კლასიკური ნიმუშები, როგორიც არის, მაგალითად, „ილგამეში“, „მაჰაბჰარატა“, ჰომეროსის „ილიადა“, ანტიკური დრამები, ჩრდილოეთის საგები, „ათას ერთი ღამე“, ფირდოუსის „შაh-ნამე“, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, რაბლეს „გარგანტიუა და პანტაგრიუელი“, შექსპირის ტრაგედიები, სერვანტესის „დონ-კიხოტი“, გოეთეს „ფაუსტი“ და მრავალი სხვა.

ამ დღეებში გამოვიდა ამ სერიის 27-ე ტომი, რომელშიც წარმოდგენილია გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. პოემის თარგმანი ეკუთვნის გამოჩენილ საბჭოთა პოეტს, ქართული კულტურის დიდ მეგობარს ნიკოლოზ ზაბოლოცკის.

სატიტულო ფურცლის შემდეგ დაბეჭდილია შოთა რუსთაველის ფერადი პორტრეტი, რომელიც ქართულმა სამეცნიერო ექსპედიციამ აკაკი შანიძის, გიორგი წერეთლისა და ირაკლი აბაშიძის შემადგენლობით ჩამოტანა იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტრიდან.

ტომში წინასიტყვაობის სახით დაბეჭდილია პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის ვრცელი (გვ. 5-19) ნარკვევი „სიტყვა შოთა რუსთაველზე“, რომელშიც მკითხველი გაეცნობა შოთა რუსთაველის ეპოქას, აღმოსავლური რენესანსის ძირითად საკითხებს, პოეტის ბიოგრაფიულ ცნობებს, საკუთრივ „ვეფხისტყაოსანს“ და პოემასთან დაკავშირებულ ისტორიულ-ფილოლოგიურ საკითხებს.

რუსი მკითხველისათვის დიდად საინტერესო იქნება ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სარგის ცაიშვილის ფილოლოგიურ-ტექსტუალური ხასიათის ვრცელი გამოკვლევა, სადაც განხილულია პოემის ტექსტის დადგენასა და გამოცემასთან დაკავშირებული საკითხების ფართო წრე, აგრეთვე მოცემულია პოემის ცალკეული სტროფებისა და ადგილების მეცნიერული კომენტარები. წიგნს დართული აქვს სარგის ცაიშვილის (გვ. 5-19) ნარკვევი „სიტყვა შოთა რუსთაველზე“, რომელშიც მკითხველი გაეცნობა შოთა რუსთაველის ეპოქას, აღმოსავლური რენესანსის ძირითად საკითხებს, პოეტის ბიოგრაფიულ ცნობებს, საკუთრივ „ვეფხისტყაოსანს“ და პოემასთან დაკავშირებულ ისტორიულ-ფილოლოგიურ საკითხებს.

რუსი მკითხველისათვის დიდად საინტერესო იქნება ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სარგის ცაიშვილის ფილოლოგიურ-ტექსტუალური ხასიათის ვრცელი გამოკვლევა, სადაც განხილულია პოემის ტექსტის დადგენასა და გამოცემასთან დაკავშირებული საკითხების ფართო წრე, აგრეთვე მოცემულია პოემის ცალკეული სტროფებისა და ადგილების მეცნიერული კომენტარები. წიგნს დართული აქვს სარგის ცაიშვილის „ზოგიერთი ტერმინის, საკუთარი სახელებისა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა“ ლექსიკონი.

წიგნში დაბეჭდილია საქართველოს სახალხო მხატვრის სერგი ქობულაძის ცნობილი გრაფიკული ილუსტრაციები. ქობულაძის ილუსტრაციებია გამოყენებული წიგნის სუპერის მხატვრული გაფორმებისთვისაც.

ტომის რედაქტორია ი. როზენბლიუმი, მხატვრული რედაქტორი ლ. კალიტოვსკაია. წიგნი დაბეჭდილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს ა. ჟდანოვის სახელობის პირველი სანიმუშო სტამბაში, მოსკოვში.

წიგნის ტირაჟია 300.000 ცალი.

საქართველოს სახელმწიფო კაპელა ინოსტრანეთში

სოფხეთის სსრ კულტურის სამინისტროსა და საგუნდო საზოგადოების მიწვევით კომიტასის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტებში მონაწილეობისთვის საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით გამოვიდა ერევანში, ლენინაკანში, კიროვაკანსა და რუსთავში. კაპელის შესრულებით სომეხი მსმენელები გაეცნენ ქართველ, რუს, დასავლეთევროპელ კომპოზიტორთა საგუნდო ნაწარმოებების საუკეთესო ნიმუშებს. კაპელის პროგრამაში იყო აგრეთვე კომიტასის ნაწარმოებები, სომხური ხალხური სიმღერები.

სომხეთში კომიტასის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის დასკვნითი აკორდი იყო დიდი საიუბილეო კონცერტი, რომელიც ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა. კონცერტში მონაწილეობდნენ სომხეთის საუკეთესო არტისტული ძალები, აგრეთვე უკრაინის, ესტონეთისა და ლენინგრადის საგუნდო კოლექტივები. კონცერტზე წარმატებით გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო კაპელა.

მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისა და კომიტასის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო დღეებში წარმატებით გამოსვლისათვის საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა და მისი მხატვრული ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ბაქრაძე სომხეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით დაჯილდოებული არიან სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

(საქდესი).

მოსკოველებმა ნახეს „თეთვარის მოტაცება“

მოსკოვი, 1 დეკემბერი. („კომ.“ სპეც. კორ.). საკავშირო თეატრალურ ფესტივალში, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა, ხუთასამდე თეატრალური კოლექტივი მონაწილეობდა. სასიხარულოა, რომ ამ სასცენო შემოქმედებით პაექრობაში ხუთ გამარჯვებულ საუკეთესო კოლექტივს შორის არის თბილისის გ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრიც. სპექტაკლმა „მთვარის მოტაცებამ“ სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

28 ნოემბერს დაიწყო იმ სპექტაკლების დასკვნითი ჩვენება, რომლებიც პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოდნენ. მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა წარმოადგინა ე. კაზაკევიჩის ნაწარმოების მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „ვარსკვლავი“.

„კგირას, 30 ნოემბერს მოსკოველმა მაყურებელმა ვახტანგოვის თეატრის სცენაზე ნახა თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დადგმა „მთვარის მოტაცება“.

ქართველ მსახიობებს მიესალმნენ კულტურის სამინისტროს, საკავშირო აკად. ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები, ვახტანგოვის თეატრის მსახიობები. სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილემ ბ. ფლადიკინმა აღნიშნა მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლის მაღალი დირსებანი, ილაპარაკა შესანიშნავ მსახიობთა ანსამბლზე, წარმოდგენის რეჟისურაზე. თეატრმცოდნე მ. ლეშინმა განაცხადა, რომ „მთვარის მოტაცება“ შესანიშნავი სპექტაკლია, სადაც დიდი მსატვრული სიმართლეით ასახულია ჩვენი საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში მომხდარი სოციალური ძვრები. ბევრი საინტერესო აქტიორული სახე ვიხილეთ, და სასიამოვნოა, რომ დიდი ტრადიციების ქართულმა თეატრალურმა ხელოვნებამ კვლავ გაგვახარა ახალი შემოქმედებითი გამარჯვებით.

მოსკოველებმა გულთბილად მიიღეს მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი „მთვარის მოტაცება“, რომელიც შექმნილია კ. გამსახურდიას რომანის მიხედვით. ინსცენირება ეკუთვნის რესპუბლიკის სახალხო არტისტს გ. კოსტავას. დამდგმელი რეჟისორია ლ. მირცხულავა, მხატვარი — ა. კაკაბაძე, მუსიკა ეკუთვნის რესპუბლიკის სახალხო არტისტს ო. თაქთაქიშვილს. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები მ. დავითაშვილი, მ. თბილელი, გ. კოსტავა, ი. ტრიპოლსკი, ვ. ნინუა, მ. ვაშაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ე. ყიფშიძე, ნ. ჩხეიძე, დ. ჭიჭინაძე, მ. ბებურიშვილი, მსახიობები ჯ. მონიავა, ზ. იოსელიანი, ი. ჭიჭინაძე და სხვები.

ფესტივალის გამარჯვებული სპექტაკლების დასკვნითი ჩვენება გრძელდება.

ქართველ მსატვარს — „მშვიდობისათვის მებრძოლის“ მედალი

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის 20 წლისთავთან დაკავშირებით მოსკოვში, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის სადემონსტრაციო დარბაზში მოეწყო მხატვარ-სატირიკოსთა ნაწარმოებების დიდი საერთაშორისო გამოფენა „სატირა მშვიდობისათვის ბრძოლაში“.

საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებებთან ერთად გამოფენაზე ექსპონირებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, პოლონეთის, დანიის, აშერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, იტალიის და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების მხატვართა ნამუშევრები. საქართველოდან გამოფენაში მონაწილეობენ **გ. ლომიძე, გ. ფირცხალავა, ა. კანდელაკი, ი. ქოქიაშვილი** და **ნ. მანუკიანი.**

გამოფენაზე წარმატება ხვდა პოლიტიკური კარიკატურის ცნობილ ოსტატს **გივი ლომიძეს,** რომელიც წარმოდგენილია ოთხი ნამუშევრით. მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტმა ქართველი მხატვარი **„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებაში აქტიური მოღვაწეობისათვის“** დააჯილდოვა **„მშვიდობისათვის მებრძოლის“** საპატიო მედლით.

გულგარელ ხუთჯიდელთა წარმატება

თბილისის სპორტულ ბაზებზე ხუთ დღეს გრძელდებოდა საქართველოს ღია ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჯიდში იუნიორთა შორის. მონაწილეობდნენ „დინამოს“, „სპარტაკის“, „ბურევესტნიკის“ და საქართველოს ნაკრება გუნდები. მოწვეული იყვნენ აგრეთვე ბულგარელი ხუთჯიდელები.

ასპარეზობის პირველი დღეებიდანვე ცხადი გახდა, რომ ჩვენი სტუმრები ჩინებულად იყვნენ მომზადებული, და ლიდერობაც მათ იგდეს ხელში.

საქართველოს ჩემპიონი გახდა გულგარელი ხუთჯიდელი ა. პეპელიანოვი, რომელმაც 4.881 ქულა შეაგროვა და თავლსაჩინოდ გაუსწრო უახლოეს მეტოქეებს. ნ. ხუციშვილი 4.678 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა. მესამე საპრიზო ადგილიც ბულგარელ სპორტსმენს მ. ანდონოვს ხვდა.

გუნდურ პირველობაშიც უძლიერესი იყვნენ ბულგარელები („აკადემიკის“ ოლიმპიური ნაკრები) — 18.614 ქულა. საქართველოს ნაკრები მეორე ადგილზე აღმოჩნდა — 18.244 ქულა. მესამე ადგილი დინამოელებმა დაიკავეს.

სურათზე: ა. პეპელიანოვი მძლეოსნური კროსის დისტანციაზე.

ფოტო თ. ბაჩეჩილაძისა.

ფრე გოლრეში

სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები — **რუმინეთის** ჭაბუკთა ნაკრები 0:0. გორი. 30 ნოემბერი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი რ. **ანდერსონი** (ნორვეგია).

სსრ კავშირის ნაკრები — ჩანოვი, ბუძიშვილი (ბატშინი), მირზოიანი, ზუევი, გეკოროკიანი, ზელენსკი, ხისამუტდინოვი, პეტროსიანი, გრიგორიევი, შევჩენკო, ბოლობინი (დამიანინი);

რუმინეთის ნაკრები — პეტრკარუ, დობრაუ, დეპელეანუ, ჰაინენი, სანდუ, სტეფანესკუ, ბალეშეი, ფერგელი, ჰალგეი, ატოდირსეი, გლიგორინი.

ჩინმბული სტადიონი აქვთ გორელებს. ამიტომ შემთხვევითი რიდი იყო ეს ოდენ მნიშვნელოვანი მატჩის გორში გადატანა. კვირას თითქმის მთელ დღეს წვიმდა, ცოდა, ფეხბურთელებს გაუჭირდათ თამაში, არც მაყურებლები აღმოჩნდნენ სახარბიელო მდგომარეობაში.

უეფა-ს ტურნირი ფეხბურთში ჭაბუკთა გუნდებისათვის ჩვენი კონტინენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ამასთანავე ტრადიციული ასპარეზობაა. სხვებთან ერთად აქ უკვე შვიდ წელზე მეტია გამოდიან საბჭოთა ფეხბურთელები. ისევე როგორც მსოფლიო ჩემპიონატზე, აქაც ეწყობა წინასწარი შეხვედრები ჯგუფებში უძლიერესთა გამოსავლენებლად, შემდეგ კი იმართება დასკვნითი ტურნირი — ფინალური შეხვედრები.

შეიძლება ითქვას, რომ წილისყრამ საბჭოთა ნაკრებს არ გაუღიმა. ჯგუფში, სადაც იგი გამოდის, მონაწილეობენ ისეთი კარგი ტრადიციის გუნდები, როგორიც არიან რუმინეთისა და პოლონეთისა. თამაში მიმდინარეობს ორ წრედ — საკუთარ მოედანსა და მოწინააღმდეგის მოედანზე. ჩვენმა ფეხბურთელებმა უკვე გადალახეს პირველი წინაღობა, დაამარცხეს პოლონელები 3:0, კვირას კი მათ დაუბრუნდნენ რუმინელებთან.

ატალახებული მოედანი და დამძიმებული ბურთი არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მეტოქეებს მთელი თავიანთი შესაძლებლობა გამოემეჯავნებინათ. მაგრამ თამაშს სანახაობითი სახე არ დაუკარგავს — ბრძოლა ტემპიანი და მრავალმხრივი გამოდგა.

ორივე გუნდს ჰქონდა ჯარის აღების არაერთი შესაძლებლობა, მაგრამ პირველ ტაიმში ანგარიში მაინც არ გახსნილა.

ყველაფერი დამოკიდებული იყო მეორე ტაიმის 40 წუთზე (ჭაბუკთა ასპარეზობაში თამაში 80 წუთით განისაზღვრება). და მართლაც, ასპარეზობის მერე ნაწილი უფრო მიმზიდველი და ეფექტური გამოდგა. ინიციატივა მთლიანად ჩვენი ნაკრების მხარეს გადავიდა, სტუმრებს წინ მხოლოდ ერთი ფურვარდი — გეოგორინი ჰყავდათ, დანარჩენნი კი საკუთარი კარის მისადგომების დაცვას უნდებოდნენ. იერიშს იერიში მოსდევდა, მაჯრამ ტაბლოზე ციფრები 0:0 არ შეცვლილა — საბრძოლო ფრე.

წინ კიდევ ორი მატჩია, ორივე გასვლითი — პოლონეთსა და რუმინეთში. სწორედ ამ შეხვედრებმა უნდა გადაწყვიტოს საკითხი, მოხვდება თუ არა ჩვენი ჭაბუკთა ნაკრები ფინალში. პირველი ასეთი მატჩი შედგება მომავალი წლის 29 მარტს პოლონეთში, მეორე — 19 აპრილს — რუმინეთში.

ვ. გაგელია.

საბჭოთა ფეხბურთელები ს ა ფ ლ ვ ა ი ს ა ვ ი

კაირო. 30 ნოემბერი. (საკდესი). თბილისის „დინამომ“ თავისი ტურნე არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში დაიწყო საკლუბო გუნდ „აკალთან“ შეხვედრით და დამარცხდა 1:3 (1:1). ერთადერთი ბურთი მასპინძელთა კარში 32-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით გაიტანა ს. კუტეგაძემ.

სსრ კავშირის ჩემპიონი — მოსკოვის „სპარტაკი“ განაგრძობს გამოსვლებს საზღვარგარეთ. მორიგი შეხვედრა სპარტაკელებს ჰქონდათ ირლანდიის ჩემპიონ „ალ-ფეისალისთან“ და გაიმარჯვეს — 5:1.

სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები დამასკოში შეხვდა სირიის ნაკრებს და გაიმარჯვა 2:1.

ასპარეზოგათა პანორამა

● **თბილისში** მიმდინარეობს სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება ფრენბურთში ქალთა გუნდებისათვის. მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, ოდესის, ფრუნზეს და თბილისის გუნდები. **გუშინ ოდესელებმა დაამარცხეს ლენინგრადის გუნდი 3:2 და ლიდერები არიან. მეორე ადგილზეა თბილისის პირველი გუნდი.**

● **სანდინავიის** ღია ჩემპიონატზე, რომელიც შვეიცის ქალაქ ტროჰეტანში მიმდინარეობს, სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა მაგიდის ჩოგბურთში. ვაჟთა გუნდების ასპარეზობაში. გაიმარჯვეს შვედებმა.

● **ბრძოლება შეჯიბრება ხელბურთში ქალთა გუნდებისათვის ევროპის ჩემპიონთა თასზე. ამ პრიზის ორგზის მფლობელს კუნასის „ჟალგირისს“ მეორე მერვედფინალური მატჩი ჰქონდა ადგილობრივ „ლოკომოტივთან“. ბრძოლა შეუთავარი გამოდგა და დამთავრდა ფრედ 8:8.**

როგორც ცნობილია, ამ გუნდების პირველი შეხვედრა კაუნასში დამთავრდა საბჭოთა ხელბურთელების გამარჯვებით 15:10, ამიტომ ისინი მეოთხედფინალში გავიდნენ.

ქალთა ფარგალი

უმაღლესი ლიგის ქალათბურთელ ვაჟთა კოლექტივები გაგაგრძობენ ასპარეზობას ჩვენი ქვეყნის პირველობაზე.

მორიგი შეხვედრები შედგა კვირას, ალმა-ატასა და სვერდლოვსკში. საინტერესო გამოდგა მატჩი ალმა-ატაში ადგილობრივი „ლოკომოტივისა“ და მოსკოვის „დინამოს“ გუნდებს შორის. წარმატება მასპინძლებს ხვდათ 91:89 (59:49).

სვერდლოვსკის „ურალმაშ“ პაექრობა ჰქონდა რიგის არმიის სასპორტო კლუბის გუნდთან. აქ მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთმა ქულამ. გაიმარჯვეს რიგელმა ქალათბურთელებმა 88:87.

ქომუნისტი ეპოქა

ლიდერთა სამეული

ჭადრაკი

ბროუნი, 1 დეკემბერი. (ტელეფონით, სპეც კორ.). აქ ფინიში აქვს ჩვენი ქვეყნის გუნდურ პირველობას ჭადრაკში. საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლა ძირითადად კვლავ ლენინგრადის, მოსკოვისა და საქართველოს მოჭადრაკეთა შორის მიმდინარეობს.

მეშვიდე ტურში, რომელიც 30 ნოემბერს შედგა, საქართველოს გუნდს პაექრობა ჰქონდა რსფსრ-ის მოჭადრაკეთა კოლექტივთან. ანგარიშია 3,5:2,5 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ. დანარჩენი პარტიები გადადებულია.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი გუფელდი აღმავლობით იბრძოდა ა. ზაიცევის წინააღმდეგ და თავის გუნდს ქულა შესძინა. ასევე წარმატებით დაამთავრა შეხვედრა უბილავამ სვეშნიკოვთან. გიორგაძე-ანტოშინისა და მიქაძე-ზახარიევის პარტიებში შეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. სსრ კავშირის ჩემპიონს ალექსანდრიას კოზლოვსკაიასთან გადადებულ პარტიაში მოსაგები პოზიცია აქვს.

შვიდი ტურის შემდეგ ლიდერია ლენინგრადის გუნდი, რომელსაც 47 ქულა აქვს. მეორე ადგილზე მოსკოველები არიან — 41,5 ქულა. საქართველოს გუნდს 39,5 ქულით მესამე ადგილი უჭირავს.

2 დეკემბერს საქართველოს გუნდი მერვე ტურში შეხვდება აზერბაიჯანის გუნდს. პირველ დეკემბერს კი მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ქომუნისტი

ბიდ ჰოკეი მოსკოვში

ლუჟნიკის სპორტის სასახლე ჰოკეისტთა დიდი ასპარეზობის არენა გახდა. გუშინ აქ საზეიმოდ გაიხსნა ექვსთა ტურნირი გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე. ეს ასპარეზობა მოსკოვში პირველად როდი ეწყობა, იგი უკვე ტრადიციული გახდა და პოპულარობით სარგებლობს. მონაწილეობენ: სსრ კავშირის, შვეიცის, ჩეხოსლოვაკიის, კანადის, ფინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები.

გუშინ გაიმართა ტურნირის ორი მატჩი. ეროვნულ ერთმანეთს შეხვედნენ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები. წარმატება საბჭოთა ჰოკეისტებს ხვდათ ანგარიშით 4:3.

დიდი ინტერესი გამოიწვია ჩეხოსლოვაკიისა და კანადის გუნდებს შეხვედრამ. მატჩის შედეგია 4:0 ჩეხოსლოვაკიელთა სასარგებლოდ.

ბოლო ინფორმაციები

ბაქო. 1 დეკემბერი. (ტასსი). ბაქოს ნავსადგურში ბოლო ინფორმაციით, ბორბალ-ბორბალ ტვირთავენ ტანკერ „ალ-ფარაბის“ ტანკებს. ეს ტანკერი ბაქოს ნავსადგურიდან ინდოეთისკენ გაემგზავრება.

ბაკურიანი. 1 დეკემბერი. (ტასსი). ბაკურიანში ბოლო ინფორმაციით, ბორბალ-ბორბალ ტვირთავენ ტანკერ „ალ-ფარაბის“ ტანკებს. ეს ტანკერი ბაქოს ნავსადგურიდან ინდოეთისკენ გაემგზავრება